ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გ.შ.№86

თბილისი **05.09.2013წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის თენგიზ შერგელაშვილის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთი მხრივ და სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია“ წარმოდგენილი მისი პრორექტორის ზაალ კაპანაძის სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის №712 განკარგულებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 05 ივლისის №6752 მოხსენებითი ბარათისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 აგვისტოს №1 სხდომის ოქმის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

<u>მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოხელეთა თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა ტესტირების ჩატარების მომსახურების გაწევა (CPV-79635000) – შემდგომში მომსახურება.

<u>მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1. ხელშეკრულების მთლიანი და ჯამური ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა (ელექტროენერგიის, ფურცლებისა, კალმების და სხვა ხარჯი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს არაუმეტეს 70 000.00 (სამოცდაათი ათასი) ლარს;

2.2. ერთი კონკურსანტის ტესტირების ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს;

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

2.5. მხარეებს შორის ანგარიშწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

2.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს პრეტენზია არ გააჩნია.

<u>მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა</u>

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

<u>მუხლი 4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქუჩა №1.

4.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – მინისტრის აპარატის უფროსი.

<u>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 01.10.13-30.10.13წწ. პერიოდის განმავლობაში, ეტაპობრივად;

დ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა საკუთარი ტექნიკური და სხვა საშუალებებით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე;

ე) მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები;

ვ) მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში მოამზადოს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული ტესტირების ჩატარებისათვის საჭირო ტესტები, რომელიც დაკომპლექტებული უნდა იყოს 500 არაიდენტური კითხვით. ტესტი უნდა შედგებოდეს 100 კითხვისაგან, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

საქართველოს კონსტიტუცია – 5 კითხვა;

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი I-III-IV თავები –10 კითხვა ;

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი – 15 კითხვა;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი – 15 კითხვა;

„მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონი – 8 კითხვა;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულება – 7 კითხვა;

ზოგადი უნარები – 40 კითხვა (ანალოგია - 7 კითხვა; ლოგიკა - 9 კითხვა; მათემატიკა - 8 კითხვა; წინადადების შევსება - 7 კითხვა; სიტყვების ტესტი - 6 კითხვა; წაკითხული ტექსტის გააზრება - 3 კითხვა);

ზ) შემსყიდველს წარმოუდგინოს საგამოცდო ტესტის ნიმუში;

თ) კონკურსში მონაწილე კანდიდატთა სიის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს ტესტირების ჩატარებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების (კონკურსანტთა სიის გადანაწილება ჯგუფებად და ტესტირების გრაფიკის შედგენა) დასრულება;

ი) ტესტირების მომსახურების გაწევამდე არანაკლებ 7 დღით ადრე მიაწოდოს შემსყიდველს დროში გაწერილი კონკურსანტთა ნაკადის სრული სია;

კ) უზრუნველყოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა არაუმეტეს 4 ნაკადის გატარება ყოველდღიურად. თითოეული ნაკადი (გარდა ბოლო ნაკადისა) დაკომპლექტებული უნდა იყოს არანაკლებ 200 (ორასი) კონკურსანტისაგან;

ლ) უზრუნველყოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთათვის შემსყიდველის მიერ დადგენილი ინსტრუქტაჟის ჩატარება ტესტირების დაწყებამდე;

მ) შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში, წინასწარ მიწოდებული სიის საფუძველზე უფლება მისცეს შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილეს, კომისიის წევრებს ან/და სხვა პირებს დაესწროს ტესტირების პროცესს;

ნ) უზრუნველყოს ტესტირების ჩატარება ელექტრონული ფორმით, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით, 3 (სამი) საათის ხანგრძლივობით;

ო) ტესტირების საბოლოოდ დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობით მიაწოდოს შემსყიდველს ტესტირების შედეგები, სადაც თითოეული კონკურსანტის შედეგი გაყოფილი იქნება შემდგნაირად: ზოგადი უნარების შედეგის ქულა, კანონების ქულა და საბოლოო ჯამური ქულა;

პ) კონკურსანტის მიერ ტესტირების შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, მიმართვის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს საჩივრის შემომტანი პირის ნაშრომი;

რ) უზრუნველყოს კონკურსანტთა ნაშრომების შენახვა ტესტირების დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, უსასყიდლოდ;

ჟ) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ინფორმაციის წინასწარ მიწოდების შემთხვევაში ტესტირებაზე კონკურსანტის დადგენილ დროს გამოუცხადებლობისას, მისცეს მას შესაძლებლობა ტესტირებისათვის გათვალისწინებული გრაფიკის პერიოდში გაიაროს ტესტირება;

ს) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოებების შესახებ;

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე;

გ) შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება;

დ) შემსყიდველი ვალდებულია არაუგვიანეს 2013 წლის 20 სექტემბრისა მიმწოდებელს გადასცეს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა სია, ტესტირებაზე დასწრების უფლების მქონე პირთა სია, ტესტირების ჩატარების წესი და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ბრძანება საკონკურსო კომისიის შესახებ. ამ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების მიწოდება განისაზღვროს ოფიციალური წერილით ან წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლით („მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები") განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

<u>მუხლი 7. პასუხისმგებლობა</u>

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

<u>მუხლი 8. ინსპექტირება</u>

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – მინისტრის აპარატის უფროსი.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

8.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

10.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

<u>მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, (Mrdi@mrdi.gov.ge) საიდენტიფიკაციო კოდი 204 564 845, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200 122 900, კოდი TRESGE22.

ხელმოწერა _____ **თენგიზ შერგელაშვილი**

ბ.ა.

მიმწოდებელი:

სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია", მისამართი: ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქ№1. (Rodion.korchilava@mia.gov.ge) საიდ. კოდი 209 467 628, სს „ბაზის ბანკი", ბანკის კოდი CBASGE22, ანგარიშის №GE 69 BS 0000 0000 0743 4165.

ხელმოწერა _____ **ზაალ კაპანაძე**

ბ.ა.

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№712 2013 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) სამინისტროს საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) სამინისტროს ვებ-გვერდის დიზაინის დამზადებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა;

გ) სამინისტროს ლოგოს დიზაინის დამზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ამ განკარგულების

პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში რესურსის მოძიება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წინადადებების წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი